საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივერიელი (ლეკიშვილი) ვაჟა პლატონის ძე

ვ. ივერიელი

ივერიელი (ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი) ვაჟა პლატონის ძე (1. X. 1925, ფოთი, – 27. VI. 1999, თბილისი), ენდოკრინოლოგი, მეცნ. და კლინიკური ენდოკრინოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1981), საქართვ. მედ. მეცნ. და სამედ.-ბიოლ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1981).

1946 დაამთავრა თსსი. 1958-მდე მუშაობდა სსრკ სამედ. აკადემიის აკად. ვ. ბარანოვის ენდოკრინოლოგიური ჯგუფის მეცნიერ მუშაკად. 1962–63 მივლინებული იყო დიდი ბრიტანეთის ენდოკრინოლოგიურ ცენტრებში. 1972–78 მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ენდოკრინოლოგად. 1967–83 განაგებდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ენდოკრინოლოგიის კათედრას, 1991-იდან იყო თბილ. სახელმწ. სამედიცინო აკადემიის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგე. 1997-იდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით დაარსებულ ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრს (1999 ცენტრს მისი სახელი ეწოდა).

ი-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოსომატური და კორტიკო-ვისცერალური თეორიების საფუძვლების დამუშავებაში. აღსანიშნავია ი-ის შრომა, მიძღვნილი გულის ანევრიზმისადმი, რ-ის დიაგნოზიც საქართველოში პირველად მან დასვა. ი-მა შეისწავლა შაქრიანი დიაბეტის გართულებათა ეტიოპათოგენეზის, ეპიდემიოლოგიის, მკურნალობისა

და პროფილაქტიკის საკითხები; ზოგადი სიმსუქნის ეტიოპათოგენეზის და მკურნალობის საკითხები; შაქრიანი დიაბეტისა და ზოგიერთი სიმსუქნის დიეტოთერაპიისა და მოსახლეობის ჯანსაღი კვების პრობლემები. ი-მა სსრკ-ის მასშტაბით პირველმა შეისწავლა დიაბეტური რეტინოპათიის პრობლემები. მის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია დიაბეტური რეტინოპათიის შესახებ ფართოდ გავრცელდა საკავშირო მასშტაბით. ი-ის შრომებში ნაჩვენები იყო დარღვეული დიაბეტური მეტაბოლიზმის კომპენსაციის უდიდესი მნიშვნელობა ნეიროპათიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის საქმეში. ი. 1974-იდან იყო საქართვ. ენდოკრინოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე, 1991-იდან – საქართვ. დიაბეტური ასოციაციის პრეზიდენტი.

იყო უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტროს პრემიის ლაურეატი (1980), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: ენდოკრინულ ჯირკვალთა დაავადებები, თბ., 1962; ენდემური ჩიყვის გავრცელების დინამიკა საქართველოში, თბ., 1992 (თანაავტ.); Диабетическая ретинопатия, М., 1968 (თანაავტ. Д. Скотт); Диабетическая ретинопатия, Тб., 1974 (თანაავტ.); О патогенезе диабетического поражения миокарда, М., 1984 (თანაავტ.); Классификация ангиопатии нижних конечностей при сахарном диабете, М., 1988 (თანაავტ.).

ს. ბაქრაძე